# საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია

გამოცემა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში

The publication is prepared within the frame of UNDP Gender and Politics Programme in the South Caucasus

საქართველოს პარლამენტი

დიზაინი და ბეჭდვა შ.პ.ს ,,კონტური"
Design and printing by "Contour" Ltd.

# The State Concept of Georgia on Gender Equality

2006

საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ჩვენს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისთვის. ამ კონცეფციით ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა მივანიჭეთ ჩვენს ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გამყარებული ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარი და ეფექტური განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თანაბარი უფლებები თანაბარ პასუხისმგებლობას იწვევს, და მე მჯერა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, ქალი თუ მამაკაცი, თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. ამიტომაც კონცეფციის მთავარი მიზანი გახდა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია გახდება ქმედითი დოკუმენტი და მასში განსაზღვრული ძირითადი მიმართულებები აისახება საქართველოს კანონმდებლობაში და სხვა ნორმატიულ აქტებში, რათა უფრო ეფექტური მექანიზმებით იქნას უზრუნველყოფილი მათი განხორციელება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

/ნ.ბურჯანაძე/

# საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია

## 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

გენდერული თანასწორობის კონცეფცია (შემდგომში კონცეფცია) ეფუძნება იმ საერთაშორისო აქტებსა და დოკუმენტებს, რომლებსაც საქართველო მიუერთდა და რომლებიც დღეს საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;
- მოსახლეობის და განვითარების კაიროს კონფერენციის სამოქმედო პროგრამა;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325;
- ათასწლეულის დეკლარაცია და ათასწლეულის განვითარების მიზნები.

კონცეფციის მიზანია, ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან განხორციელებას. კონცეფცია აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის.

კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების შემუშავება, რათა შეიცვალოს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის განმაპირობებელი ნორმატიული ბაზა, და მათი განხორციელება.

## 2. ტერმინთა განმარტება

**გენდერი**

გენდერი არის ცნება, რომელიც აღნიშნავს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალთა და მამაკაცთა ქცევისადმი დამოკიდებულების, პიროვნული თვისებების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ.

**გენდერული თანასწორობა**

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

**სქესის ნიშნით დისკრიმინაცია**

სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც პირის მიმართ მოპყრობა განსხვავდება მხოლოდ სქესისა და მამაკაცთა და ქალთა მახასიათებლების საფუძველზე, რასაც არ შეიძლება ობიექტური გამართლება ჰქონდეს.

არაპირდაპირი დისკრიმინაციისას კანონი, პოლიტიკა თუ პროგრამა პირდაპირ არ მიუთითებს რაიმე დისკრიმინაციაზე, მაგრამ მისი განხორციელება დისკრიმინაციულ შედეგს იძლევა.

**სპეციალური ღონისძიებები**

სპეციალური ღონისძიებები წარმოადგენს მიზნობრივად შემუშავებულ ქმედებებს, რომელთა მიზანია არახელსაყრელი პირობებისა და გენდერული სტერეოტიპების დაძლევა. სპეციალური ღონისძიებები ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობის თანაბრად გაუმჯობესების მიზნით სამართლებრივი რეფორმის გატარებას, საგანმანათლებლო პროგრამების და სხვა კონკრეტული სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

**გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება** (გენდერული მეინსტრიმინგი)

გენდერული მეინსტრიმინგი არის ყველა სფეროში და დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას და განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება.

## 3. გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითადი მიმართულებები

გენდერული თანასწორობა დღეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად ყალიბდება, რომლის მიზანია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ამ თანასწორობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების ეფექტიანი განხორციელება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და განახორციელებს გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ამ კონცეფციით. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას, ეროვნული კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების აღსრულებისას და სახელმწიფო სტრატეგიული პროგრამების განხორციელებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემების ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.

## 4. გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მექანიზმები

გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხორციელებისათვის საქართველოს ხელისუფლება იყენებს შესაბამის მექანიზმებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქართველოში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ.
საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, გატარება და მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.
გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პირველადი ღონისძიებაა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება. სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერული პრინციპების ზედმიწევნით გათვალისწინებას და გენდერული თანასწორობისკენ მიმართული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, მათ შორის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სპეციალური ღონისძიებების სისტემატურ განხორციელებას, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, აგრეთვე გენდერულ საკითხებზე კვლევებისა და სწავლების განხორციელების მხარდაჭერას.

დღესდღეობით საქართველოში არსებობს ორი დროებითი სტრუქტურა  საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საკონსულტაციო საბჭო და სამთავრობო კომისია, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მაგრამ გენდერული თანასწორობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, საქართველოს ხელისუფლებაში შეიქმნას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოხდეს ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ შტოებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე.

## 5. პოლიტიკური სფერო

საქართველოს მოქალაქეებმა გამოხატეს თავიანთი ნება, საქართველო ჩამოყალიბებულიყო დემოკრატიულ სახელმწიფოდ, როდესაც მხარი დაუჭირეს „ვარდების რევოლუციას“. გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელება დემოკრატიული პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ყოველ მოქალაქეს  ქალს თუ მამაკაცს  თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება კანონის უზენაესობასა და კანონის წინაშე თითოეული მოქალაქის თანასწორობაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში.
ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა:

- ხელისუფლების ყველა შტოში და ყველა დონეზე ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება;
- პოლიტიკურ პარტიებსა და მათ აღმასრულებელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.

## 6. ეკონომიკური სფერო

ეკონომიკური განვითარება საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს ხელისუფლების მიზანია, შექმნას საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას.
გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამებში, აგრეთვე დასაქმების პოლიტიკაში სტიმულს მისცემს გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას შრომის ბაზარზე და განსაკუთრებით სამეწარმეო საქმიანობაში. კერძო სექტორის განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი მექანიზმია ქალებისა და მამაკაცებისათვის საფინანსო, საკრედიტო და საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს გენდერული, სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული ბიუჯეტის განვითარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე.

## 7. სოციალური სფერო

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ახორციელებს რეფორმებს სოციალურ სფეროში. სოციალური პოლიტიკის გატარებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს და სოციალურ პოლიტიკაში გაითვალისწინოს ოჯახში ბავშვებზე, ხანდაზმულებსა და სხვა წევრებზე ზრუნვისას გაწეული შრომა.
განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის განხორციელებისას ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცებისათვის საბაზისო, პროფესიული, უმაღლესი და უწყვეტი განათლების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

## 8. დასკვნითი დებულებანი

საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის განხორციელებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ:

- უნდა შეიმუშაოს სპეციალური ღონისძიებები, მათ შორის, საკანონმდებლო, რომელთა მიზანია გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;
- უნდა გაითვალისწინოს გენდერული თანასწორობის პრინციპები ყველა სახის სახელმწიფო სტრატეგიასა და პროგრამაში;
- უნდა განახორციელოს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული და მიღებული გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასება;
- უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმის განვითარება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ შტოებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე.

გენდერული თანასწორობის კონცეფციის განხორციელების მთავარი წყაროა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები, აგრეთვე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

ამ კონცეფციას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს საქართველოს პარლამენტს დადგენილებით.

*The State Concept of Georgia on Gender Equality represents an important step for the introduction of the gender equality principle in our society. The Concept institutionalizes the significance and priority for equality of women and men.*

*The equal and effective enjoyment of rights and opportunities for women and men, guaranteed by the Constitution of Georgia and international norms, supports establishment of Georgia as a democratic country. Equal rights lead to equal responsibilities and I believe, that every citizen of Georgia, woman or man will contribute to furthering the development of our state. Thus, the Concept aims at providing such equal opportunities in every sphere of the state and social life.*

*The State Concept of Georgia on Gender Equality will the become a functioning document and its main directions will be reflected in the laws and normative acts of Georgia in order to ensure effective implementation of these principles.*

*The Chair of the*
*Parliament of Georgia*



/N.Burjanadze/

# THE STATE CONCEPT OF GEORGIA ON GENDER EQUALITY

## 1. INTRODUCTION

According to the Constitution of Georgia, every human being is born free and is equal before law without distinction of any kind, such as race, colour, language, sex, religion, political or other opinion, national, ethnic or social origin, property and birth and place of residence;

The State Concept of Georgia on Gender Equality (hereinafter referred as 'the Concept') is based on the international acts and instruments Georgia is a signatory to and which represent the integral part of the Georgian legislation:

- Universal Declaration of Human Rights;
- International Covenant on Civil and Political Rights:
- International Covenant on Economic, Social and Cultural Rights;
- Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women;
- European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms;
- Beijing Declaration and Platform for Action;
- Programme of Action of the Cairo Conference on Population and Development;
- The UN Security Council Resolution 1325;
- Millennium Declaration and Millennium Development Goals.

The Concept aims to encourage the equal and effective implementation of the rights and opportunities for women and men. The Concept recognizes the principles of gender equality in all spheres of public and social life and provides for the relevant measures for prevention and elimination of all forms of discrimination on the ground of sex as well as for the advancing gender equality.

The Concept determines the state's obligation to provide the relevant legislative and other measures in order to amend the legal framework, which constitutes the discrimination on the ground of sex, and to ensure its implementation.

## 2. DEFINITION OF TERMS

### Gender

Gender refers to cultural expectations towards the behaviour, attitudes, personal traits, and physical and intellectual capabilities of women and men.

### Gender Equality

Gender equality is an integral part of human rights. It refers to an equal presentation, rights, responsibility and participation of women and men in all spheres of private and public life.

presentation, rights, responsibility and participation of women and men in all spheres of private and public life.

### Discrimination on the Ground of Sex

Direct discrimination on the ground of sex occurs when a difference in treatment relies directly and explicitly on distinction based exclusively on sex and characteristics of men and women, which may not have an objective justification.

Indirect discrimination occurs when a law, policy or programme does not appear to be discriminatory, but has a discriminatory effect when implemented.

### Special Measures

Special measures are specially tailored actions aimed at reducing the disadvantages and gender stereotypes. The special measures entail elaboration and implementation of legal reform, educational programs and other specific strategies and projects in order to secure equal improvement of the situation for men and women.

### Incorporation of the Gender Equality Principles (Gender Mainstreaming)

Gender Mainstreaming is consideration of principles of the gender equality in all spheres and at all levels of policy-making and its implementation.

## 3. MAJOR DIRECTIONS FOR ACHIEVING GENDER EQUALITY

Currently, the gender equality is becoming one of the major priorities of the Georgian state policy aimed at providing effective conditions for the equality of women and men and securing this equality.

The Georgian Government commits itself to secure effective implementation of the equal rights and opportunities for women and men in political, economic and social spheres. The Georgian Government will elaborate and implement the government strategy based on the main directions determined by this Concept. Creation and implementation of the reporting and monitoring systems represent an important factor in the process of implementing the international obligations, national law and administrative and other statutory documents and implementing the state strategic programs related to Gender Equality.

## 4. MECHANISMS FOR IMPLEMENTATION OF MAJOR DIRECTIONS OF THE GENDER EQUALITY

In order to implement the main directions of gender equality the Georgian Government employs the relevant mechanisms and measures aimed at ensuring equality between women and men in Georgia.

The Government of Georgia recognizes that the elaboration, implementation and monitoring of the gender equality government strategy should be carried out through the effective cooperation and partnership between the government and civil society, thus supporting the increase of public awareness on the value of gender equality

In order to ensure gender equality one of the most important and primary measures involve the development of relevant legal framework. When forming the government strategies in different spheres, the special attention should be paid to persistent incorporation of gender principles and elaboration and implementation of the specific programmes, including regular implementation of special measures, gathering and analysing the statistical data, as well as promoting the research and education on gender issues.

Today there are two interim structures  the Gender Advisory Council under the Chair of Parliament and the Governmental Commission working on gender equality issues in Georgia. But, due to the priority of gender equality, it is preferable to establish a standing national machinery and ensure its effective operation in both, legislative and executive branches, on central and local levels.

## 5. POLITICAL SPHERE

By supporting 'the Rose Revolution", the citizens of Georgia expressed their will to build a democratic state.  The implementation of gender equality principles is one of the most essential parts of the democratic processes.  Every citizen woman or man - is equally responsible for the transparent and accountable political system based on the principles of the rule of law and equality of citizens before the law.

In order to achieve these goals it is necessary to:

- promote the full and equal participation of women and men at all levels and in all branches the government;
- encourage the equal participation of women and men in political parties and within their executive and oversight structures;
- encourage the full and equal participation of women and men at all levels of the conflict resolution and peace-building processes.

## 6.  ECONOMIC SPHERE

Economic development is the major priority of the population of Georgia. The Government of Georgia aims at providing proper environment for sustainable development of market based economy.  Provision of equal participation of women and men is an important mechanism in implementation of the policy of economic security, which will facilitate the achievement of this goal.

The integration of gender equality perspectives in the state programmes for the economic development and poverty reduction, as well as in the employment policy, will stimulate gender balance at the labour market and especially in entrepreneurial activities. Equal access of women and men to fiscal, credit and production resources is one of the mechanisms for private sector development and for creation of jobs.

The Georgian Government should pay particular attention to the development of gender-sensitive, social justice-oriented budget both at central and local levels.

## 7. SOCIAL SPHERE

The Government of Georgia actively implements reforms in the social sphere. Incorporation of gender principles in the social policy will encourage the establishment of the social justice in the society. To achieve this goal, the state should elaborate and implement the programmes aimed at gender equality in healthcare and social security systems. The Georgian Government should recognize and give proper consideration to the work of the caretaker for children, elders and other members of the family in its social strategy.

In the process of implementing the education reforms the Government should ensure the equal access of women and men to the basic, vocational, higher and continuous education, as well as to the information and communication technologies.

## 8. CONCLUDING PROVISIONS

To implement the State Concept on Gender Equality, the Government of Georgia should:

- elaborate special measures, including legislative ones, aimed at achieving gender equality;
- integrate gender equality principles in every strategy and program;
- exercise monitoring, reporting and evaluation of the Gender Equality National Action Plan, elaborated and adopted by the Government of Georgia;
- secure the development of the standing gender equality national machinery and its effective operation at the legislative and executive branches, as well as at the central and local levels.

The state and local budgets are the major source for implementation of the State Concept of Georgia on Gender Equality together with financial and technical support of international and local organizations.

The adoption and amendment of the State Concept of Georgia on Gender Equality is made by the Resolution of the Parliament.